

საქართველო

IX წ.

საზოგადოებრივო გაზეთი.

IX წ.

№ 10.

კვირა, 4 მარტი 1901 წელსა.

№ 10.

გაზეთის ღირებულება: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელას-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.— შინაური მიმოხილვა.— სხვა-და-სხვა ამბები.— კორესპონდენციები.— „სახალხო საქმეების გამო“, მენახისა.— რუსეთის ცხოვრება.— საზღვარგარეთ.— ცოლი და ქმარი, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.— კ. რ.-ის ლექსი, განდევნილისა.— მეცნიერება და მეცნიერები, დ. თოფურიძისა.— პანწკები, რიგოლეტოსი.— რედაქციისაგან.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

I. პოლიტიკოსები.

ნ. ვილჰელმ I და ბისმარკი.

როგორც დავინახეთ, საფრანგეთის პოლიტიკური მოძრაობა დასრულდა მონარქიის მოსპობით და რესპუბლიკის დაარსებით. აქ კონსერვატორები სამუდამოდ ძლიერ იქმნენ და გამარჯვება დარჩათ დემოკრატიზაციას.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ გერმანიაში. აქ 1848 წ. მომხდარ რევოლუციამ ბრძოლის ველზე გამოიყვანა ერთი მხრით ხალხი, დემოკრატიზაციის მიზნით და მეორე მხრით თავდაზნაურობა, კონსერვატორები ჩინოვნიკებითურთ. და აი გერმანიის ისტორია რევოლუციის დღიდან გერმანიის იმპერიის დაარსებამდე (1877 წ.) ამ პარტიათა ბრძოლის ისტორიაა. ამ ბრძოლაში შემუშავდა ისეთნაირი წყობილება, სადაც უპირატესობა მიენიჭა მეფეს და თავადაზნაურობას. ამასთანავე შემოღებულ იქნა პარლამენ-



ტი, თავისუფალი მწერლობით, სიტყვით და ყრილობით. არა რესპუბლიკა და დემოკრატიული წყობილება, არამედ მეფობა და კონსერვატიულ-ლიბერალური მართვა-გამგეობა—აი, რით დასრულდა გერმანელ ხალხთა პოლიტიკური მოძრაობა. ამ წყობილების ერთი უმესანიშნავესი დამყარებელი, მეფობის გამამგრებელი იყო ოტო ფონ ბისმარკი, ხოლო მისი დამჯერი და რჩევის განმანხორციელებელი— თვით იმპერატორი გერმანიისა, ვილჰელმ I. ბისმარკი ყველაფერს აკეთებდა ვილჰელმის სახელით, ვილჰელმი ყველაფერს აკეთებდა ბისმარკის რჩევით. ვილჰელმი მეფობდა, მაგრამ არ მართავდა, ბისმარკი მართავდა, მაგრამ არ მეფობდა. ამისათვის ამ ორი მოღვაწის ერთად გაცნობა არა თუ საჭიროა, არამედ მიუცილებელიც...

ვილჰელმ I, მეორე ვაჟი პრუსიის მეფე ფრიდრიხ-

ვილჰელმ III-სა, დაიბადა 1797 წ. ბერლინში. მან განსაკუთრებით შეისწავლა სამხედრო ნაწილი და თავის მამასთან ერთად არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ნაპოლეონის ომებში. 1840 წ. გადაიკვალა მამა მისი და ტახტზე ავიდა მისი უფროსი ძმა ფრიდრიხ ვილჰელმ მე-IV, ხოლო თვითონ შეიქმნა ტახტის მემკვიდრე (მეფეს შვილი არ ყავდა). 1848 წლის რევოლუციამ ვილჰელმი დიდთ ააშფოთა და მოითხოვა შეუბრალებლათ დათრგუნვა მოძრაობისა. ხალხში გავარდა ხმა, რომ ის უდიდესი რევოლუციონერი და აბსოლიუტიური მეფობის მომხრეა, რის გამო სახელი გაუტყდა და ბერლინში თუ პროვინციაში ხალხი მის გადაყენებას თხოულობდა. ამისათვის, მეფისა და მინისტრთა რჩევით, ვილჰელმმა დასტოვა სამშობლო და გაემგზავრა ინგლისში. რევოლუციის გამარჯვებამ ბერლინში და ინგლისის ცხოვრებასთან გაცნობამ მასში ცოტაოდენი ცვლილება მოახდინა, ასე, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ უკან დაბრუნებულმა და დეპუტატთა არჩეულმა ტახტის მემკვიდრემ პარლამენტში განაცხადა: მე მომხრე ვარ კონსტიტუციური მონარქიისაო. ამით მან ლიბერალის სახელი მოიხვეჭა და ნატრობდენ იმ დროს, როცა რევოლუციონერი მეფე გადაიკვლებოდა და ვილჰელმი ტახტზე ავიდოდა. და—ეს მოხდა 1861 წ., ვილჰელმ I გახდა პრუსიის მეფედ და მეორე წელსვე პირველ მინისტრად დანიშნა ბისმარკი და ეს თანამდებობა მისთვის არასოდეს არ წაურთმევია. ვინ იყო ბისმარკი?


ბისმარკი, შვილი მემამულე აზნაურისა, დაიბადა 1815 წ. შონჰუზენში (მაგდებურგის ახლოს). მან შეისწავლა იურისპრუდენცია და მთელი თავისი ძალ-ღონით წინააღმდეგა მაშინდელ ლიბერალურ მოძრაობას. 1848 წ. რევოლუციის მიერ შემოღებულ პარლამენტში გაილაშქრა თვით რევოლუციის წინააღმდეგ და გამოსთქვა მწუხარება კონსტიტუციის შემოღებისათვის. ის შეუდგა კონსერვატიული საზოგადოებების და გაზეთების დაარსებას, წინააღმდეგ დემოკრატიული გაზეთების და საზოგადოებებისა, „Starke Konigtum“-ის—ძლიერი მეფობის აღსადგენათ. ყველა ამით მან მიიქცია მეფის ყურადღება და 1851 წლიდან მას სხვა-და-სხვა საპატიო თანამდებობას აბარებდნენ. ხოლო 1862 წ. ახლად გამეფებულ ვილჰელმ I-მა მას ჩააბარა მინისტრთა პრეზიდენტობა და საგარეო საქმეთა მართვა. ის დიდის რიხით ჩაერია პარლამენტის და მთავრობის ერთმანეთთან ბრძოლაში და ოპოზიციის დეპუტატთა განუცხადა: ახლანდელი კითხვები პარლამენტის უმრავლესობით არ გადაწყდება, არამედ „სისხლით და რკინით“. ბისმარკმა იფიქრა, მოდი პრუსიის ხალხის და პარლამენტის ყურადღებას გარედ გავიტყუებ, იმათ უცხო სახელმწიფოებთან ომებში ჩავაბამ და ამით ოპოზიცია შიგნით შესუსტდება და ერი მთავრობას მოემხრობაო. ამისათვის მან მოინდომა მხედრობის გაძლიერება და სამხედრო ბიუჯეტის მომატება. მაგრამ მის მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უარ-ჰყო პარლამენტმა (11 ოქტომ. 1862 წ.); პარლამენტი დახურა და თავის ნებით დაიწყო ფულის ხარჯვა. 1863 წ. ხელ-ახლა მოიწვია დეპუტატები; ამათ გაჰკიცხეს ბისმარკი პოლონეთის აჯანყებაში რუსეთისთვის მხარის დაჭერისათვის და განუცხადეს მეფეს, სანამ ბისმარკი მინისტრი იქნება, სახელმწიფო საქმეებში არავითარ მონაწილეობას

არ მივიღებთო. ამავე დროს ბისმარკმა გამოსცა სასტიკი კანონები პრესის წინააღმდეგ, რომელიც ისე ებრძოდა ბისმარკს. ვილჰელმ I-ლმა არ მიაქცია ყურადღება დეპუტატთა განცხადებას, რის გამო 1864 წ. პარლამენტმა კიდევ უარ-ჰყო ბისმარკის ხარჯთ-აღრიცხვა და ბისმარკმაც დახურა სხდომები. ამ დავიღარაბამ იქამდის მიიყვანა ვილჰელმი, რომ გადასწყვიტა ტახტიდან გამდგარიყო, მაგრამ ბისმარკმა არ დაანება და ურჩია დეპუტატთა უმრავლესობასთან ბრძოლის გაგრძელება. ამნაირათ, მთავრობა დაშორდა პარლამენტს და, წინააღმდეგ არსებული კონსტიტუციისა, თავისი ნებით მოქმედებდა. ბისმარკმა მოიმხრო ავსტრია და 1865 წ. დანიას წაართვა ორი პროვინცია (შლეზვიგ-ჰოლშტაინი) და ორივე პრუსიას შეუერთა; ამაზე განრისხდა ავსტრია და პრუსიაც გამოვიდა გერმანიის სახელმწიფო კავშირიდან, დაამარცხა ავსტრია 1866 წ. და აპით გამოავლო ის გერმანიის სახელმწიფოთა საზღვრებიდან. ახლა დარჩა ერთად-ერთი დიდი სახელმწიფო პრუსია და მის გარემოში წვრილი სამთავროები თუ სამეფოები (საქსონია, ბავარია, ვურტემბერგი, ბადენი და სხ.) ბისმარკმა ისარგებლა ამით, დააარსა ჩრდილო-გერმანიის კავშირი, ხოლო სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოებს ხელშეკრულებით შეეკრა. თანაც გააუქმა ჰანავერის, ნასაუს, კურჰესენის და სხ. წვრილი სამთავროთა დამოუკიდებლობა და პრუსიას შეუერთდა. ერთი სიტყვით, მთავრობამ ხალხის დაუკითხავათ მიანგრ-მოანგრია გერმანიის სამეფონი და განადიდა პრუსია. პრუსიის გადიდება სასარგებლო შეიქნა განსაკუთრებით მრეწველთა და ვაჭართათვის, და აი პარტიათა შორის მოხდა ცვლილება. 1866 წ. მოწვეულ პარლამენტში დემოკრატია პარტიას გამოსცილდა ერთი ჯგუფი და „ნაციონალ-ლიბერალთა“ სახელით მიემხრო ბისმარკს. ამით შედგა ბისმარკის მომხრე უმრავლესობა. 1867 წ. დაარსდა „ჩრდილო-გერმანიის კავშირის“ რეიხსტაგი დემოკრატიული საფუძველით. დეპუტატის არჩევაში ხმა მისცა ყველა სრულ წლოვან მამა-კაცს, სამაგიეროთ დეპუტატს არავითარი ჯილდო არ დაენიშნა, რომ ლარიბსაც არ შესძლებოდა დეპუტატობა.

ამნაირათ, ბისმარკის და ვილჰელმის პოლიტიკამ გასჭრა, ხალხის ერთი ნაწილი შემოირიგა და გერმანიის პირველი ალაგი პრუსიას მიანიჭა. და რომ ეს უფრო მკვიდრი ყოფილიყო, 1870 წ. საფრანგეთი აიძულა ომი გამოეცხადებინა. 1871 წ. გერმანელებმა აიღეს პარიზი და ვერსალში მოხდა მთელი გერმანიის სახელმწიფოთა შეერთება პრუსიის წინამძღოლობით. პრუსიის მეფემ ვილჰელმ I მიიღო ტიტული გერმანიის იმპერატორისა. ამას-თანავე შემოღებულ იქმნა მთელი გერმანიის რეიხსტაგი, ანუ საერთო პარლამენტი. ბისმარკის მომხრე პარტიები (ნაციონალ-ლიბერალები და კონსერვატორები) გაძლიერდნენ და რეიხსტაგიც მთავრობის ყურ-მოჭრილი მონა შეიქმნა. ახლა მეორე მხრიდან ამოძრავდა ოპოზიცია—ეს იყო კლერიკალები, წინააღმდეგნი საერო მთავრობისა და მცნობელი მხოლოდ პაპის ბატონობისა, და სოციალ-დემოკრატები, დამცველნი მუშა ხალხისა. ბისმარკი შეებრძოლა ორივეს, პირველთა წინააღმდეგ აღმართა დევნა, ხოლო მეორენი სრულიად კანონის გარეთ დააყენა და აკრძალა. სოციალ-დემოკრატებმა მთელი ორგანიზაცია გადაიტანეს შვეიცარიაში და იქიდან ავრცელებდნენ



წიგნებს თუ გაზეთებს გერმანიაში. ბისმარკმა დააარსა ესრედ წოდებული „ქვემძრომთა ფონდი“, რომლითაც მოისყიდა ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა და ყველა ამათ თავის პოლიტიკას ავრცელებიებდა. ასეთ ბრძოლაში გავიდა 12 წელიწადი. 1890 წ. გარდაიცვალა ვილჰელმ I, იმავე წელს გარდაიცვალა მისი მემკვიდრე მეფე ფრიდრიხი და ტახტზე ავიდა ვილჰელმ II (დღევანდელი მეფე). ახალმა მეფემ მიაქცია ყურადღება მუშათა მდგომარეობას, მოინდომა ყველა თავისი ქვეშევრდომისათვის ერთნაირი უფლებების მიცემა. ბისმარკი დიდი წინააღმდეგი იყო მუშათა სამფარველო კანონებისა და თუმცა რეინსტაგმა არა ერთხელ მიიღო ის, მაგრამ ბისმარკმა არასოდეს სისრულეში არ მოიყვანა. და აი ახლა მას მოუხდა შეტაკება თვით მეფესთან, რის გამო ის იძულებული გახდა გადამდგარიყო.



ამნაირათ, ბისმარკის დიქტატურა მოისპო, სოციალისტთა წინააღმდეგი კანონი გაუქმდა, კლერიკალთა დევნა შესუსტდა, მუშათა სამფარველო კანონები ძალაში შევიდა,—ერთი სიციყით, დაიწყო ხანა კანონიერობისა და რეფორმებისა. ბისმარკს მიეცა ტიტული ჰერცოგი ლაუნბურგისა (თავადობა წინათ მისცეს) და ამ ახალი ტიტულით გადასახლდა თავის მამულში ფრიდრიხსუში. სახელმწიფო საქმეებს მოსცილდა, მაგრამ თავისი ორგანოების საშუალებით ძლიერ დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკაზე თავისი მამულიდანაც. ის გარდაიცვალა 1898 წ.; მას თითქმის ყოველ ქალაქში აქვს ძეგლი აგებული*).

შინაური მიმოხილვა.

თფილისში არსდება განყოფილება პეტერბურგის „აღმოსავლეთის საზოგადოებისა“, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყანა დაახლოვოს და გააცნოს რუსეთს და მით ევროპასაც. ასეთი დაწესებულება ისეთი უცნობი ერისათვის, როგორც ქართველებია, სწორედ მისწრებაა. ასეთი საზოგადოებები მრავალია თვით ევროპიელთა შორისაც ერთმანერთის უკეთ შესასწავლად და დასახლოვებლად, სადაც ისედაც კარგათ იცნობენ ერთმანერთს. ხოლო ჩვენ, რომლის შესახებაც უცხო ხალხს სრულიად

არავითარი წარმოდგენა არა აქვს და თუ აქვს, უთუოდ ერთიანად გადაბრუნებული და ყალბი, გაცილებით უფრო ვსაჭიროებთ სხვების ყურადღების მოპყრობას და შემოკავშირებას. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა პირველ ყოვლისა „საზოგადოების“ მომქმედი წევრნი იყვნენ არა მარტო უცხოელები, არამედ თვით ქართველებიც. უცხოთა მუშაობა ამ საქმეში შინაურების ხელმძღვანელობით და ჩვენებით უნდა ხდებოდეს, თორემ ადვილათ შეიძლება თავისით ისეთი რამ გამოატყვერონ, რომ, სარგებლობის მაგიერ, ვნებაც მოგვიტანონ და თუ ეს კიდევ „საზოგადოების“ სახელით იქნება, მათ ნათქვამსაც უფრო სარწმუნო ძალა მიეცემა. მეორე მხრით, „საზოგადოებამ“ უნდა დაინტერესოს ჩვენის ქვეყნით არა მარტო სწავლულნი და მეცნიერნი, არამედ ვერც წოდებული ფართე საზოგადოებაც. ხოლო ამ უკანასკნელს ვერ გაიტაცებს არქეოლოგია, გინდ უძველესი ისტორია; არა, მას უფრო აინტერესებს დღევანდელი და ახლო წარსული მდგომარეობა ერისა, განსაკუთრებით-კი ეკონომიური, პოლიტიკური და იურიდიული-ლიტერატურული მხარეები. ამისათვის „საზოგადოებამაც“ თავისი უმთავრესი ყურადღება აი ამ მხარეებს უნდა მიაქციოს და ამით აქეთ-კენაც გადმოაზაროს ევროპის საზოგადო აზროვნება. რასაკვირველია, თითო-ორი პირსაც შეუძლია ამ გზაზე მუშაობა, მაგრამ, როცა ეს მთელი „საზოგადოების“ მეტაურობით იწარმოებს—მაშინ მას მეტი ძალა და გავლენა ექნება და თვალ ყურსაც-კი აქეთ მოახედებს. მესამეთ, საჭიროა „საზოგადოებამ“ იყოლიოს საპატიო წევრები, წევრი კორესპონდენტები და მომქმედნი ევროპაშიაც. რომელიმე ევროპიელი მეცნიერის საპატიო წევრათ არჩევა ჩვენ არას წავგვართმევს, ხოლო შემატებით-კი ბევრს შეგვმატებს. განსაკუთრებით გაზეთების რედაქტორების და თანამშრომლების მოახლოვება საჭიროა, ვინაიდან ისინი „აკეთებენ“ ევროპის საზოგადო აზროვნებას. ერთი სიტყვით, პეტერბურგის „აღმოსავლეთის საზოგადოების“ განყოფილება ჩვენ ბევრნაირ სარგებლობას მოგვიტანს, თუ-კი, რასაკვირველია, ამას მოვიხმართ და შრომას არ დავიზარებთ.

არავითარი წარმოდგენა არა აქვს და თუ აქვს, უთუოდ ერთიანად გადაბრუნებული და ყალბი, გაცილებით უფრო ვსაჭიროებთ სხვების ყურადღების მოპყრობას და შემოკავშირებას. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა პირველ ყოვლისა „საზოგადოების“ მომქმედი წევრნი იყვნენ არა მარტო უცხოელები, არამედ თვით ქართველებიც. უცხოთა მუშაობა ამ საქმეში შინაურების ხელმძღვანელობით და ჩვენებით უნდა ხდებოდეს, თორემ ადვილათ შეიძლება თავისით ისეთი რამ გამოატყვერონ, რომ, სარგებლობის მაგიერ, ვნებაც მოგვიტანონ და თუ ეს კიდევ „საზოგადოების“ სახელით იქნება, მათ ნათქვამსაც უფრო სარწმუნო ძალა მიეცემა. მეორე მხრით, „საზოგადოებამ“ უნდა დაინტერესოს ჩვენის ქვეყნით არა მარტო სწავლულნი და მეცნიერნი, არამედ ვერც წოდებული ფართე საზოგადოებაც. ხოლო ამ უკანასკნელს ვერ გაიტაცებს არქეოლოგია, გინდ უძველესი ისტორია; არა, მას უფრო აინტერესებს დღევანდელი და ახლო წარსული მდგომარეობა ერისა, განსაკუთრებით-კი ეკონომიური, პოლიტიკური და იურიდიული-ლიტერატურული მხარეები. ამისათვის „საზოგადოებამაც“ თავისი უმთავრესი ყურადღება აი ამ მხარეებს უნდა მიაქციოს და ამით აქეთ-კენაც გადმოაზაროს ევროპის საზოგადო აზროვნება. რასაკვირველია, თითო-ორი პირსაც შეუძლია ამ გზაზე მუშაობა, მაგრამ, როცა ეს მთელი „საზოგადოების“ მეტაურობით იწარმოებს—მაშინ მას მეტი ძალა და გავლენა ექნება და თვალ ყურსაც-კი აქეთ მოახედებს. მესამეთ, საჭიროა „საზოგადოებამ“ იყოლიოს საპატიო წევრები, წევრი კორესპონდენტები და მომქმედნი ევროპაშიაც. რომელიმე ევროპიელი მეცნიერის საპატიო წევრათ არჩევა ჩვენ არას წავგვართმევს, ხოლო შემატებით-კი ბევრს შეგვმატებს. განსაკუთრებით გაზეთების რედაქტორების და თანამშრომლების მოახლოვება საჭიროა, ვინაიდან ისინი „აკეთებენ“ ევროპის საზოგადო აზროვნებას. ერთი სიტყვით, პეტერბურგის „აღმოსავლეთის საზოგადოების“ განყოფილება ჩვენ ბევრნაირ სარგებლობას მოგვიტანს, თუ-კი, რასაკვირველია, ამას მოვიხმართ და შრომას არ დავიზარებთ.

ლემა აი ამ მხარეებს უნდა მიაქციოს და ამით აქეთ-კენაც გადმოაზაროს ევროპის საზოგადო აზროვნება. რასაკვირველია, თითო-ორი პირსაც შეუძლია ამ გზაზე მუშაობა, მაგრამ, როცა ეს მთელი „საზოგადოების“ მეტაურობით იწარმოებს—მაშინ მას მეტი ძალა და გავლენა ექნება და თვალ ყურსაც-კი აქეთ მოახედებს. მესამეთ, საჭიროა „საზოგადოებამ“ იყოლიოს საპატიო წევრები, წევრი კორესპონდენტები და მომქმედნი ევროპაშიაც. რომელიმე ევროპიელი მეცნიერის საპატიო წევრათ არჩევა ჩვენ არას წავგვართმევს, ხოლო შემატებით-კი ბევრს შეგვმატებს. განსაკუთრებით გაზეთების რედაქტორების და თანამშრომლების მოახლოვება საჭიროა, ვინაიდან ისინი „აკეთებენ“ ევროპის საზოგადო აზროვნებას. ერთი სიტყვით, პეტერბურგის „აღმოსავლეთის საზოგადოების“ განყოფილება ჩვენ ბევრნაირ სარგებლობას მოგვიტანს, თუ-კი, რასაკვირველია, ამას მოვიხმართ და შრომას არ დავიზარებთ.

* * *
„ნოვოე ობოზრენიე“ და მასთან ერთად „ცნ. ფურცელი“ (№ 1395) დიდათ სწუხან იმაზე, რომ ქუთაისის ახალგაზღობას განუზრახავს „დამოუკიდებელი“ პარტიის

*) უფრო დაწვრილებით იხ. „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში“, „კვალი“ 1897 წ. № 6 და სხ. აგრეთვე 1898 წ. № 38.

დაარსება. ჩვენის აზრით-კი, ეს სამწუხარო-კი არა, სასიამოვნო უნდა იყოს. ცხადია, ახალგაზდობა არ კმაყოფილდება იმით, რაც არსებობს, ამ უნაყოფო პარტიული შეჯახებით, რისთვისაც აგერ რამდენიმე წელიწადია აღამიანთა ძალ-ღონე ტყუილ-უბრალოთ იფლანგება და მოუწადინებიათ ახალი მიმდინარეობის შეტანა. ეს გამოუხიზლების და თვით-კრიტიკის მაჩვენებელია და, არ ვიცი, რომელი მოწინავე პირი უნდა შეაწუხოს ამან. რასაკვირველია, ყოფნა „არც აქეთ, არც იქით“ ვერაფერი საკვებარია, მაგრამ ეს მხოლოდ იქ, სადაც ეს „აქეთ“ და „იქით“ რაიმე გარკვეულ და ღრმა პრინციპიანულ საძიკველზეა აშენებული. ხოლო სადაც პრინციპის მაგიერ გულის-თქმა და ჟინი ლაპარაკობს, სადაც საზოგადო კეთილ-დღეობის აღაგას შენ-ჩემობაა დასკუპებული—იქ ყოველი თავისუფალი მოაზრის მოვალეობაა არც ერთს მათგანს არ მიემხროს და, თუ შეიძლება, დამოუკიდებელი პარტიის შედგენით სასწორი პარტიათა ბრძოლისა ხელში დაიჭიროს. და აი, სწორეთ ეს უნდა იყოს მიზანი ქუთათური ახალგაზდობისა, თუ-კი მას მართლა აინტერესებს ქუთაისის საზოგადო საქმეები და მათ გაწესრიგებას ცდილობს. პრინციპი და საქმიანობა—აი, რა უნდა ასხვავებდეს მას არსებული უპრინციპო პარტიებისაგან და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლება გავლენის მოპოვება და საზოგადო ცხოვრებაში კვალის გავლება.

ჩვენ ხშირად ვწუხვართ იმაზე, რომ ბევრი უფლებები არა გვაქვსო. მაგრამ იშვიათად მოვიხსენიებთ იმას, რომ ბოძებული უფლებაც არა ერთხელ და ორჯელ ვერ მოგვიხმარია და ამის გამო დაგვიკარგავს. ამის ერთ ახალ მაგალითს ოზურგეთი წარმოგვიდგენს. ამ ქალაქს უთხრეს, ამოიღოთ თვით-მმართველობა და განაგე შენი თავიო. ეს ოზურგეთლებმა კიდევაც შეასრულეს და, ავით იყო თუ კარგათ, დღემდის განაგებდენ თავის საქმეებს. გასული წლის ბოლოს ქალაქის თავათ ხელ-ახლა აირჩიეს ბ. ნ. თავდგირიძე; გუბერნატორმა არ დაამტკიცა ეს არჩევანი და წინადადება მისცა სხვა აერჩიათ. ხმოსნები შეიყარნენ და დაადგინეს: ბ. ნ. თავდგირიძეს მეტი სხვა თავი არ გვინდაო და, რადგანაც მას მთავრობა არ ამტკიცებს, ცხადია, ხმოსნებმა სულ უარისთქვეს ქალაქის თავის არჩევანზე და მით თვით-მმართველობაზედაც. გამოდის, რომ თვით-მმართველობა არსებულია ქალაქის თავისათვის და არა თავი თვით-მმართველობისათვის. ეს უარის-ყოფაა თვით დაწესებულების და, არ გვესმის, რით ხელმძღვანელობდენ ოზურგეთის ხმოსნები, როცა ამას სჩადიოდენ! ეს უბრალო გაბუტვა და გულას მოფხანაა, რომლითაც ვერავის დააშინებ, ხოლო საზოგადო საქმეს-კი ავნებ. და რომ ეს ასე მოხდა, ეს იქიდან სჩანს, რომ, როგორც ისმის, ოზურგეთისათვის ქალაქის თავი ხმოსნების დაუკითხავათ დაუყენებიათ. და განა შეიძლებოდა სხვანაირათ? რაკი ხმოსნები თავს არ ირჩეოდენ, ან უნდა მოესპოთ თვით-მმართველობა, ან დაეშალათ დღევანდელი საბჭო და ახალი არჩევანი დაენიშნათ, და ან თავი იმათ დაუკითხავათ დაეყენებიათ. მეტი გზა არ იყო და აი მთავრობას ეს უკანასკნელი აუარჩევია. ვიმეორებ, ყველა ეს მოასწავებს ჩვენს უუნარობას და მოუშუადებლობას, ჩვენსავე თავს ვუბატონოთ და ბოძებული უფლებები

მოვიხმაროთ. „რაც მოგვივა დავითაო, ყველა შენის თავითაო“!

თავისი უფლების მოხმარა არ სცოდნია ყვირილის ბოქაულათ ნამყოფს ბ. ჩარკვიანსაც. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ბოქაულია იმ აზრის, რომ სოფელში რასაც მინდა იმის ვიზამ და შემოჩებაო. შეიძლება ბევრს მართლაც შერჩეს, მაგრამ ამ ბედნიერთა შორის არ აღმოჩნდა ჩარკვიანი. ამ ვაჟ-ბატონს ხალხში გაულახავს ერთი გლენკაცი და ერთი ტელეგრაფისტი, პირველი იმისთვის, რომ უთქვამს, ბოქაულს რა ხელი აქვს ბურთთანო, ხოლო მეორეს გაჰკვირვებია ამ გლენის გალახვა ჩარკვიანის-მიერ. გლენის, როგორც დაბალი ღობის, გალახვა შერჩა ბ. ბოქაულს, მაგრამ ტელეგრაფისტი და მმართველი არ შეარჩინა და მისი თხოვნით ლუბერნატორმა დაითხოვა სამსახურიდან ეს მოკრივე ბოქაული და სამართალში მისცა. თფილისის სამოსამართლო პალატამ 22 თებერვალს გაარჩია ეს საქმე და გადასწავიტა: „დამნაშავედ იქმნას ცნობილი ბოქაულათ ნამყოფი პორუჩიკი აზნ. ლუკა ჩარკვიანი საჯარო ადგილზე ლამბაროვისა და გლენი დუგლადის ხელით შეურაცხყოფის მიყენებაში და მისეჯოს 7 დღის ვადით სამხედრო ნაობახტში დაპატიმრებაო“. ცხადია, ბ. ბოქაული თავის უფლებას აღემატება, როცა „ხელით შეურაცხყოფას“ აყენებს ვინმეს, თუნდაც ეს დაბრძვიებული გლენობაც იყოს (ასეთივე ბედი ხვდა ბოქაულს ფირცხელაურს), პალატის განჩინება, უეჭველია, საგონებელში ჩააგდებს ჩარკვიანისთანა ბოქაულებს და მათ უფლება-მოვალეობას შეაგნებინებს. ეს განაჩენი აგრეთვე გაამხნევებს სოფელელთაც და მოაგონებს, რომ მათს ზურგზე დაუსჯელათ სიარული ახლადნელია.

სხვა-და-სხვა ამბები.

ბარსულ კვირას, 25 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვალებულის პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. წირვასა და პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

წარსულ კვირის განმავლობაში თფილისის ქართულ გაზეთებმა განსვენებულის თავ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო მიიღეს სამძიმრის დებეშები შემდეგ ადგილებიდან: ქუთაისიდან, კავკავიდან, სოხუმიდან, ნუხიდან, სიღნაღიდან, ნიგოთიდან, ცხინვალიდან, ბათომიდან, ოზურგეთიდან, დუშეთიდან, ახალსენაკიდან, ონიდან, ქსნიდან, სამტრედიიდან, აბაშიდან, სარაკაშიშიდან, ქ. განჯიდან, სადგ. განჯიდან, ბაქოდან, ზესტაფონიდან, ს. აკეთიდან, ს. საკულიდან და მრავალ სხვა დაბა-სოფლებიდან. ყველა ამ ადგილას გარდახდილ იქმნა პანაშვილები განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

ყვირილიდან გვწერენ: „კვირას, თ. რ. ერისთავის დაკრძალვის დღეს, დიდძალი ხალხის თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას საერთო გლოვას. ზესტაფონიკეა.

იქიდანვე მივიღეთ 2 მ. 50 კ. რ. ერისთავის ფონდის გადასაცემათ.



განსვენებულის თავ. რაფიელ ერისთავის პატივის საცემლათ განზრახულია მოახდინონ 18 მარტს, დილით, საგანგებო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ხოლო საღამოთი—გამართონ „დრამატიულ-ლიტერატურული საღამო“.

გუშინ პეტერბურგიდან დეპეშამ ამბავი მოიტანა: 2 მარტს რუსეთის საერო განათლების მინისტრი ბოგოლუბოვი გარდაიცვალა.

უკვე დაუმტკიცებიათ, სადაც ჯერ არს, „აღმოსავლეთ ქვეყნების შენსწავლელ საზოგადოების“ წესდება. ხსენებულ საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრათა აქვს გააძლიეროს რუსეთს აღმოსავლეთ ქვეყნების ვაჭრობა-მრეწველობა.

ქართულ სახლო თეატრის გამგეობის წევრათ არჩეულ იქმნა ოთხი ხელოსანი.

8 იანვარს ქალაქის გამგეობის წევრათ არჩეული თ. ა. მ. არღუთინსკი-დოლოგორუკოვი არ იქმნა დამტკიცებული ამ თანამდებობაზე საქალაქო დებულების მე-118 და მე-119 მუხლის ძალით. მე-118 მუხლი ამბობს გუბერნატორის უფლების შესახებ, ხოლო მე-119-კი განმარტავს, რომ საბჭოს ნება არა აქვს ხელ-ახლავ აირჩიოს ის პირი, რომელიც არ დაამტკიცა ადმინისტრაციამო.

11 თებერვალს ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია შავი-ქვის მწარმოებელთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდება.

შავი-ქვის მწარმოებელთა წარმომადგენლებმა წარსული წლის კრებაზე დაავალეს საბჭოს, რათა მას ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, რომ მწარმოებელთ ნება მისცემოდათ კრებებზე ქართულად ელაპარაკნათ. საბჭომ ამ საგნის შესახებ აღძრა შესაფერი შუამდგომლობა და თავისი მოსაზრება წარუდგინა სამინისტროს, მაგრამ, როგორც წარსულ კვირას პეტერბურგიდან მოსულ ქალაქიდან სჩანს, ამ საგნის შესახებ საბჭოს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია სამინისტროს.

როგორც პეტერბურგის გაზეთები სწერენ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი თავ. თარხნიშვილი მიუწვევია ბრიუსელის უნივერსიტეტს ფიზიოლოგიის ლექციების წასაკითხათ. თავ. თარხნიშვილი მოკლე ხანში აპირებს ბრიუსელში წასვლას.

საქართველოს საგარეო სასწავლებელთა საბჭოს წარსული წლის ანგარიშიდანა სჩანს, რომ თფილისში 1900 წ. ყოფილა სამრევლო სკოლა სულ 30, სწავლობდა 1,253 ყმაწვილი; ამათგან 580 რუსი, 526 ქართველი, 104 სომეხი და 43 სხვა ეროვნებისა.

ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია გამოიკვლიოს ის ადგილები, სადაც საქარხნო წარმოებაა. სამინისტროს აზრათა აქვს ამ ადგილებში დააარსოს დაბალი სატეხნიკო და სამრევლო სკოლები.

როგორც ვახ. „კავკასს“ ატყობინებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს დააწესოს თფილისში საფაბრიკო ინსპექცია. ეს განზრახვა გამოწვეულია იმ გა-

რემოებით, რომ თფილისში უკვე შესამჩნევათ გამრავლდა ფაბრიკა-ქარხნები და მუშების რიცხვი. მაგ., ამ წამათ თფილისში ითვლება 11,500 ფაბრიკის მუშა. უნდა მოველოდეთო, დასძენს გაზეთი, რომ საფაბრიკო ინსპექციის დეწესების შემდეგ ნაკლებათ მოხდება უთანხმოება ფაბრიკა-ქარხნების პატრონებსა და მუშებს შორის, უთანხმოება, რომლის მიზეზიც ცუდი პირობებიაო.

უმართებელესი სენატი 22 თებერვლის 1900 წლის გამოცემულ „უკავში“ ხსნის, რომ, რადგანაც თფილისში არ არსებობს კერძოთ ხელოსანთა წოდება, ამიტომ კანონის 678 მუხლის ძალით არც შეიძლება არსებობდეს ხელოსანთა წოდების გამგეობა, რისთვისაც საგუბერნიო მმართველობას, მრეწველობის წესდების 284 მუხლის წესისამებრ, უნდა შეეტანა მოხსენება შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელოსანთა გამგეობის გაუქმების შესახებ თფილისში და ამ მხრივ მისი დაქვემდებარების ხელოსანთა იმ წესებისა, რომლებიც დადგენილია სოფლები-სათვის.

მ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ხ ი ი მ გ ი.

დიდი-ჯიხიაში. დიდი-ჯიხიაში მართლაც რომ დიდაა მდებარეობითაც და მოქმედებითაც. აქ არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი ვაჟებისათვის სპეციალურად დასწავლებლით. სკოლის ეზო მშენიანებად არის მოწყობილი ბაღით და შიგ სხვადასხვა ნაირი ხეხილით. აქვე არის აფთაქია, ბიბლიოთეკა-სამკითხველთა და ორი ბანკი. იმართებს აგრეთვე ბაზრობა ყოველ ოთხშაბათს, სადაც იკრიბება დიდადი ხალხი სხვადასხვა სოფლებიდან და გამოაქვთ თავიანთი ნაწარმობა გასასყიდათ. ამ სოფელს რამდენისამე წლის წინათ არ ჰქონდა მდინარე წყალი, რის გამოც ძალიან გაჭირვებულნი იყვნენ უწისქვილობით. დღეს კი გამოაუჯანეს ცხენის წყლიდან ხელფეხური არხი, რომელიც ორივე მხარეს მოხანჩქარებს მშენიანებად, დააკეთეს ზედ წისქვილები და დღეს თითქმის ყოველ ოც მოსახლეზე ერთი წისქვილია, რამაც დიდი შედარებით მისცა სოფელს.

ბიბლიოთეკა ვერ არის კარგ ზიარობებში, წიგნები ცოტა აქვთ და იმასაც მღვდლები და მასწავლებლები თუ კითხულობენ, იშვიათად კიდევ თავადაზნაურნი, თორემ გლეხი მკითხველი-კი დიოკენის ფარხით არის საძებარი. რაც შეეხება ბანკს, დიდი ნაბიჯით მიდის წინ და ეს, რასაკვირველია, მიეწერება გამგეობის ენერგიულათ მოქმედებას. მდღობის დირსია ადგილობრივი ინტელიგენციის ასეთი ბანკის დაარსებისათვის, რადგანაც ამხანაგი დაწესებულება სწობს სოფელში ჩარბ-ბანკებს. რამდენიმე ფუნდიან კანისაგან გაიგონე, რომ ამ ბანკმა დაგკლუნაო. იქ მადან და რვა კანკიკათ სესხულობენ თუმანსა და მე ვინ მომცემს ანაზსა და ექვს შურსაო. რვა თებერვალს იყო კრება ბანკის წევრთა და დაესწრა ხუთას-ექვსასამდე კაცი (წევრი ექვსასს აღმატება). ისინი ჩამწკრივებულნი იხსდენ სკოლაში შეგირდების სკამებზე და ისმენდენ ბანკის 1900 წლის ანგარიშს. კრებაზე ბევრი კარგი აზრი წარმოითქვა, განსაკუთრებით ის, რომ დაიქარან ექიმი, ფულის სარგებლით დაეხმარონ ღარიბ ნიჭიერ მასწავლებს და აგრეთვე დაეხმარონ წევრს, თუ დაიწვა ან რაიმე სხვა ზარალი მოუვიდა. ამათის შესახებ ორათ გაიყო ხმა, ამისთვის ამოიჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალეს ამ საქმის გადაწყვეტა და, იმედია, ეს ზიარები არ დატოვებენ ამ სიმშატიურ საქმეს უუურადდებოდ. კარგი იქნება იხმარონ ყოველი დონისიძიება და მოიწვიონ ჯერჯერობით ექიმი,

რადგანაც უქვილობის გამო ბევრი ეთხოვება უდროვით წუთით სოფელს. თუმცა ექიმები ხანში და სამტრედიისში არიან, მაგრამ სიმორის და სიღვირის გამო მიუღწევია.

მეორე ბანკს სამარხი ბანკი ეწოდება. ზიი ღირს 3 მან. რადგანაც ვინმე წვერთავისი მოკვდება, წვერებმა უნდა შეიტანონ თითო მანეთი და მიტვალბულის ხატონს ეძღვას ორმოცდაათ თუმნადის. აქ შეიძლება მხოლოდ ხუთასი წვერი, მეტის ნება არა აქვთ. ჯერჯერობით ცოტა ჰყავს წვერი, მაგრამ ამის შემდეგ ბევრი მიემატება, რადგანაც ახლა მოუვლათ ერთი წვერი და თხუთმეტი თუმანი მისცეს მამინვე ჭირისთვის, რის გამოც ამბობენ ძალიან კარგი ყოფილა ეს ბანკი.

აქვე მახლობელ სოფელში, გოჩა-ჯინაში, არსებობს დიდი-ჯინაშისებური შემნახველ-გამსესებელი ბანკი, მაგრამ მას ძალიან უფერულად ეტყობა. 29 იანვარს აქაც იყო კრება. თავმჯდომარემ ბ. ლვანტიძემ წავითხა ანკარაში 1900 წლის, საიდანაც გავიგეთ, რომ უკან დაწვეულა ბანკის ოპერაცია. მაგ., 1898 წ. წვერს მიუღია ხუთი თუმნის სარგებელი ცხრა-ცხრა მანეთი, 1899 წ. რვა-რვა მან., ხოლო 1900 წელს-კი შეიძლება მანეთი. ამის შემდეგ კრებამ ერთხმად აირჩია გამგებობის წვერებათ ძველი წვერები და ისინიც დაეთანხმენ, გარდა თავმჯდომარისა, რომელმაც მოახსენა კრებას—ვიცი, ცუდი დღე მოყლის ბანკს და არ მინდა ჩემს ხელში მოჟიდესო. ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ თავმჯდომარეთ აირჩიეს მასწავლებელი ცაგურეიშვილი. ვნახთ, ახალი თავმჯდომარე როგორ წაიყვანს ამ საქმეს.

ჯინაშელი.

ქ. ბათომა. ბათომის საბჭოს 26 თებერვლის მორიგო სხდომას თუმცა იმდენათ საუბრადღებო და საინტერესო არ იყო, როგორც 12 თებერვლის, მანა ამ სხდომას მინც ბევრი მსუბრებელი დაესწრო. კრებას 26 ხმოსანი დაესწრო. ამით შორის არ ბრძანებულა 12 თებერვლის გირი, „მამხილებელი ყურნაღლისტი“, როგორც ის თავის თავს უწოდებს, ბ-ნი ზაღმი. ალაბათ მის მიერ დაწერებულ განხილვების რეზოლუტატს უცდის; იცდის, რომ თუ საბჭოს მიერ ზაღმის განვიცხვა გუბერნატორმა არ დაამტკიცა, ზაღმი, როგორც სხანს, არ ჩათვლის თავის თავს განვიცხვლათ მას ჰგონია, რომ ერთხელ უკვე განვიცხვლის „გამოვიცხვა“ შესაძლებელია და თუ ეს „გამოვიცხვა“ მოხდა, ე. ი. 25 ხმოსნის მიერ ზაღმის განვიცხვა გუბერნატორმა არ დაამტკიცა, მაშინ ბ-ნი მამხილებელი ყურნაღლისტიც“ ვნახვით ხმოსნის სკამზე ყველა თავისი „მამხილებელი ნიჭით“ და არტისტული მხერებით. ვნახვით იმ „ყურნაღლისტი“, რომელიც თითონ ავზავნის რედაქციებში თავის სასარგებლო ტელეგრაფებს და მერე თითონვე ბეჭდავს თავის უკვდავ ორგანოში, როგორც გადმოდებულს. აგრეთვე არ დასწრება კრებას ბ-ნი გაშავებული წვერიც, გამამართლებელი წერილის სახლში დამეწვებელი, თუმცა მას (ბ-ნი გაშავებული წვერს და არა სახლში დარჩენილ წერილს) ნება აქვს საბჭოს წვერის სტოლთან ჯდომისა ახალი წვერის დამტკიცებამდის. არ გამოცხადებულა აგრეთვე ერთი „ძიბიღთავანი“ ბ-ნი ბოგოსლოვსკი, რომელიც 12 თებერვლის სხდომასზე წამ და უწუმ „დერჟი მორდას“ გაიძინა და იკუთხოდა კიდევ, რომ ეს „დერჟი მორდას“ გოგოლის ნაწარმოებოდან მომყავსო.

ამ კრებაზე საბჭომ გადასწვეიტა საქლებო გიმნაზიისთვის ახალი შენობის აგება, რასაც, ქალაქის თავის მოხსენების თანახმად, დასჭირდება 65 ათასი მანეთი. როგორც მოგვსენებათ, საქლებო გიმნაზია დაქირავებულ სახლში იყო მოთავსებული,

სახლიც დაიწვა და ამის გამო სწავლაც შესწყდა. ქალაქის მთლიან სკოლას ხელად ისეთი შესაფერო შენობა, რომელშიაც შესაძლებელია ყოფილიყო გიმნაზიის გადატანა. თუმცა ასეთ შესაფერო ადგილათ, სხვა სახლის უქონლობის გამო, დროებით ვაჟების გიმნაზიის თავისთავადი სახლი მიიხიეს, მაგრამ ამის ბევრმა უნდა თვალთ შეხედა. ვაჟების და ქალების ერთმანეთთან ახლოს ყოფნა შეუძლებელია, ამბობენ. თუმცა ქალაქის თავმა თქვა, რომ უკეთესი ადგილი ჩვენ არ მოგვეპოვება; ის სახლი, რომელშიაც ჩვენ საქლებო გიმნაზია დროებით, ახალი სახლის აგებამდის, უნდა მოვითავსოთ, სრულიად განმარტობულა ვაჟების გიმნაზიისაგან კედლითაც, მაგრამ ზოგიერთები მანც ამბობენ, რომ „კვადელი ვერ არის ამგვარ შემთხვევაში საიმედო რამე“. საქლებო გიმნაზიის შენობა უნდა გაკეთდეს იმ ობლიგაციონურ სესხის ნაწილიდან, რაც შარშან მოახდინა ქალაქმა. ამ სესხითვე უნდა გაკეთებულიყო ელექტრონული ტრამვაი, მაგრამ, რადგანაც ქალაქს, ქალაქის თავის სიტყვით, სხვა უფრო მიუცილებელ საჭიროებისთვის დასჭირდა ფული, ამიტომ საბჭომ გადასწვეიტა, რომ ელექტრონულ ტრამვაის მაგიერ გავიღეს კონკა კონცესიით და ამ საქმის სისრულეში მოყვანა და კონცესიონერებთან მოლაპარაკება მიანდო ქალაქის გამგებებს.

ქალაქის გამგებებს საჭიროთ ეტნო, რომ ქალაქს გიმნაზიის დირექტორისა და ინსპექტორისათვის საცხოვრებელი სახლი აეგოთ. საბჭომ ეს კითხვა გადასდო, სანამ ამისა და ზანსიონის აგების შესახებ გავზავნილ საჩივრის ზანუსს მიიღებენ.

X.

ზესტაფონი. აჭური ქალები დიდად ააფრთხიანა დარბა სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების კომიტეტის დაარსებამ და ძლიერ აიტაცა მონაწილეობის მიღების სურვილი. ერთმა თუ ორმა ზინამ კიდევ განიზრახა საქმის სისრულეში მოყვანა და გაგზავნა ქალთა შორის მოსწოდებელი ბარათები. 18 თებერვალს, საღამოს, მოხდა ქალთა კრება (კაცებს ნება არ ჰქონდათ დასწრებოდენ) სამკითხველს დარბაში. მოთავემ აუხსნა საზოგადოებას, თუ რა კეთილი საქმის სამსახურს უნდა შევეუდგეთ, გარდა ამისა, თვითოველმა წვერმა უნდა შემოიტანოს წლიურათ სამი მანეთი; კომიტეტმა უნდა მართოს წარმოდგენები, ბალ-სალამოები, ლატარეა-ალეგრები და მით მოუზოვოს დონის-ძიება განზრახული საქმის განხორციელებასო! და როცა წინ გაუშალა კრებას ქალადი ხელის მოსწერად, ზირველმა მოარიგმა სთქვა: „ეს კარგი საქმეა, მაგრამ ჯერ სხვებმა მოაწერონ ხელი“. მეორემ განაცხადა: „მე წელს თვითონში მაქვს ხელი მოწერილი, ხოლო შემდეგში დიდის კმყოფილებით“, მესამემ არც ავი თქვა და არც კარგი; ხოლო როცა მეოთხეს შეეკითხენ, მან წარმოსთქვა შემდეგო: „მართალია სტუდენტების დახმარება ფრიად სიმშატიურია, მაგრამ ჩვენ იმდენი საშუალება არა გვაქვს, რომ ორსა და სამ საქმეს ერთ და იმავე დროს ვუწოდეთ და ვველან ჯეროვნად ვასრულებდეთ; ჯერ რაც დაწვებული საქმე გვაქვს, ისიც მხოლოდ დაწვებულია და სხვა არაა; მალე მოგვებრდა და ხელი ავიდეთ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმეც ისე მალე მოგვებრდება, როგორც სხვანი; ამისთვის მე იმ აზრის ვარ, ჯერ ის საქმე გამოვარკვიოთ, რომელიც სირცხვილად გვდევს: ჩვენი წიგნთ-საცავი უკიდურეს მდგომარეობაშია; თატრი სდოვრეს მოგვავცინებს; ერთი სიტყვით, არც ერთი ის არა გვაქვს, რაც ჩვენს გონებას უნდა ზრდიდეს და ზნეობას აფაქსებდეს; თავიდან ბოლითთუვისა და თატრის საქმესაც აფრთხიანებით მოგვიადეთ, ხოლო გული მალე ავიტრუთ; ამისთვის მე არა მწამს-რა ამ ახალი საქმის!



თუ შეგვიძლია, ჯერ ის მოვიყვანოთ სმარულები, რაც დაგვიწოია; ხოლო თუკრისა და ბიბლიოთეკის კარგ ნიადაგზე დაუყენებ სტუდენტების დახმარებად წელს გაგვიმართავსა“!

მის მიემხრო მეხუთე, მეხუთეს—მეექვსე, მეექვსეს მე-შვიდი, და ამხარით შესდგა ობოლიცა, რომლის ძალას, ავთიქრობ, ქუთაისის ობოლიცა-გი ანატრებდა. ობოლიცა შმტკიცდებდა: „ჯერ დავაყენოთ ჯეროვან ნიადაგზე სამკითხველო, კვიციანთ თუკრისთვის შენობა; ბიბლიოთეკა ჩავაყენოვავს კეთილ გრდობებს, ხოლო თუკრი მოგვცემს დონის-ძიებას, რადიან შევცდებ სტუდენტების დახმარება: დევანდელი აზრი და მოქმედება-გი ხანგრძლივი არ იქნება; ამის მაგალითი ბევრი გვოდგან თვალ-წინა“! წინააღმდეგი მხარე გაიძახდა: რა უნდა მეტი წიგნთ-საცავს?! წიგნები აქვს, ვისაც უნდა წა-იკითხოს; ახლა ჩვენ სხვა საქმე გვსურს, მოგვწოდებ ერთსა და ომავს საქმეზე უყვანია“! მაგრამ ობოლიცის ღირსების წი-ნააღმდეგ ვერა გააწერა-რა. კრების მოთავე დიდათ შეურაცხეთ ასეთმა ცივმა უარმა: ის ალბად ხანაღვანივით ფიქრობდა: „ფუნს დავკრავ, და უგელანი გამოდევნა“! მაგრამ სხტად დარჩა. მერე, თითქმის მუქარით, გამაყნადა: ამის იქით მე არავინ მე-საჭიროება, თუ ღებჩქი (უკაცრავად, შლიანა) მხურავს, ამ საქმეს მე მარტო შევძლებ“!

კი და კეთილი! თუ ღმერთი ინებებს და ერთი შესრუ-ლებს ამ სამიძიო საქმეს, დანარჩენი სხვას ედებინან. მაგრამ ამას-გი გაგებდავ და ვიტყვი: ზესტათენის ისედაც უძღური სსოცადობის დანაწილება არ არის სასურველი. ამ ჯიბით და გრძობითაც დაქუცმაცებულ დროში ერთობითი ძალითაც არა კეთდება-რა: სასურველია, ეგელთერი კეთდებადეს, მაგრამ არ ცუნტრუკით, არამედ გულ-დასმით, დინჯად. მე დარწმუნებული ვარ, და იმედია, სხვაც დამეთანხმება, რომ სტუდენტთა ჯერო-ვანი დახმარება გაცილებით უფრო საძიებელია, ვინამ წიგნთ-სა-ცავი და თუკრი, და, როცა ეს უკანასკნელი ასე ღვთის ანა-ბარად გვაქვს, ვეჭვობ, ის საქმე წავიყვანოთ უკეთესად, რომელ-საც მეტი სული და გული, მეტი ენერჯია და ნივთიერი დო-ნის-ძიება ეჭირვება. ვეცადოთ, რომ ჭიანჭველის ნახტომი არ მოგვივიდეს!

მკვრეტელი.


„სახალხო საქმეების“ გამო.

მე მოდგა ფენი ჩვენს ცხოვრებაში მეტეც საუკუნეთუ არა, მაშინვე დაეტეო, ჩვენდა სსინარულოდ, თფილისის „ბრესს“ ახალი ელთერი. მართალია, წინადაც იყო ღანარაკი, ბჭობა, გა-მათი „სახალხო საქმეებსე“, მაგრამ ასე განძირებული, ასე გამწვავებული და სერიოზული, როგორც დღესა, — არსოდეს! ბჭობა და გამათი გამართული „სახალხო განათლებაზე“, სა-ხალხო სახლის“ დაარსებაზე; განაღებული ზეღემიკა „ცნობის ფურცელსა“ და „კვალს“ შორის „სახალხო თუკრის“ გამო; გოდება კორესტონდენტებისა ეგელ დღე: „სახალხო სა-მკითხველები“ „სამათ არ იხსნება“; ხმა აიმაღლეს „სახალხო მწერლობაზე“ („კვალის“ მე-7 №-ში, ბ. სტ. შავდია), და „შრომის ამხანაგობა“ ხომ ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან არა-მკითხე მოდგაწებს! აი ეს მოვლენა მიგვანხია ჩვენ ჩვენს „ბრესს“ ერთად-ერთ თვალ-საჩინო და სუკემის მომცემ მოვლენად! მაგრამ აქ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვიკითხოთ: ვინ არიან მეთაურები, ხელმძღვანელები „სახალხო საქმეების“ და ვინ არის თვით „ხალხი“.

წარმოვიდგინოთ, გაავთვადისწინოთ ფაქტები და ცხადათ

დავინახავთ, ვინც არიან! თფილისის „სახალხო განათლება“ ხელმძღვანელებს ქალაქის თვით-მმართველობა და ისიც მისი ეგრედ წოდებული „ლიბერალური ხაწილი“, ე. ო. „ინტელი-გენტისა“. „სახალხო სახლის“ დაარსების აზრი აღიძრა იმავე თვით-მმართველობის „ლიბერალთა წრეში“ და ბჭობა-გამათი აქვთ დღეს გამართული ხსენებულ საქმეზე მხოლოდ „ინტელიგენტებს“. სახალხო თუკრის განაკებს ეგრედ წოდებული „სახალხო კითხვათა სექცია“, ე. ო. „ინტელიგენტთა წრე“. სახალხო სამკითხველები დაარსა თფილისში „ქალთა წრე“, ე. ო. „ინტელიგენტებმა“ და დღესაც განუწყვეტლივ აარსებენ ბიბლიოთეკებს ზრთვინციებში სოფლის ინტელიგენტები. სახალხო მწერლობა-გი დაჭნატრონებია ყოველი ჯურის „ინტელიგენტი“ და თვითოეული მათგანი ხმა-მდღა გაჭევირის: აქეთ, აქეთ, ჩემი წიგნია „სახალხო წიგნია“! დასახელებულ მაგალითებიდან ცხადათა სხანს, რომ სა-ზოგადოთ ეგელა „სახალხო საქმეებს“ მეთაურობს და ხელმძღვა-ნელებს ბატონი „ინტელიგენტი“, ახუ, უკეთა ვთქვათ, „ინტე-ლიგენტის“ უმცირესი ხაწილი, ის ნაწილი, რომელსაც მადა მოღვაწეობისა, „მადლის ჰქმნისა“, „სახელის მოხვევისა“ დიდი აქვს, ხოლო „ხალხს“ და მის „შვილთ“ ამაში არავითარი წილი არ უღვეთ...

ერთი სიტყვით, ეგელ სახალხო საქმეს სთავებში უდგან და ხელმძღვანელებს ვითომდა-მოდგაწე ინტელიგენტი. ვითომდა-მოდგაწეო ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ... აბა, მითხროთ, რა მოდგაწე და მოქმედათ ის, ვისაც ჯერ თავისი თავიც ვერ უცნია (ის „ცნობის ფურცლის“ მე-1377 №-ის ფელეტონი „ერთი მუშაკთაგანის“ და „ივრის“ მე-35 №-ში „ღვარდლ-ნარევი ჭარი“ — ღლია ზურაბიშვილის) და მერე ვერ წარმოუდგენია, ვინ არის „ხალხი“! იქნებ ეს გარემოება იყოს ზირველი მიზეზი სახალხო საქმეების სისუსტისა, უფერულობისა და უნყოფობისა? არა, თვით ამ გარემოების მიზეზი კიდევ სხვაა... ამ კითხვას, ჩვენს გარდა, ბევრი სხვაც დაუფიქრებია, ნამეტურ ამ ბოლო ხანებში და მეტი არ იქნება, რომ იმათი შეხედულებაც გავი-თვადისწინოთ და ისე ავწონ-დავწონათ ეს საკითხი. აი მე-7 № „კვალისა“: აქ მოთავსებულია ორის ინტელიგენტის აზრი ხსენებულ მოვლენის შესახებ. ბ. „მათუსადა“ და ბ. სტ. შავდია ბჭობენ სახალხო მწერლობის სისუსტე-უფარგისობაზე; აი კიდევ „ცნობის ფურცლის“ 1366 №-ში; აქ ბ. კიტა აბაშიძე ჰგოდებს მთელი ჩვენი მწერლობის სვე-ბედზე. ეს უკანასკნელი თავის გრძელ ფელეტონში („ცხოვრება და ხელოვნება“) ჯერ სსო-წარვეთილებას ეძლევა „ჩვენი ღიტერატურის სიღარიბისა და ინტელიგენტის სულიერ სიღატაკისა“ გამო და მერე უცბათ, რაღაც „ჯადო-ქრობის“ მეცნებით, „უშიშრად“ აღიარებს, რომ ჩვენისთანა მწერლები რუსეთსა და ევროპას „ამ უკანასკნელ ოც-და-ათი წლის განმავლობაში“ სიზმრათაც არ მოხვედებიან! ამიტომ, თურმე, დიდი იმედები არ უნდა ვიქნითოთ მომავლისა, თუ... რასავიგოვლია, „ჩვენი გონებითა და სულით მშურალი ინტელიგენტია, გადაგვარებადის მისული, მეტობრულ-ამხანაგურ ერთობს იქნებიან და ერთგულათ შეუდგება მწერლობის ნა-ჯდაბის კითხვას“. მართლაც გადაგვარებული და გონება დანთხეული უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ისე გატაცებით შე-უდგება მეტობრის „ნაჯდაბის“ კითხვას, როგორც ამას ბ. კიტა აბაშიძე უჩვენებს თავის „მომხეებს“! ბ. კიტა აბაშიძე ნამდვილი წარმომადგენელი და გამოამხატველია ჩვენი ინტელიგენტის ერთი ჯურისა და ამიტომ ეგელაზე უფრო იმას დავჯერება, მარა ნუ დავივიწყებთ „მცირე მოძიების“ და მოვისმინოთ, თუ როგორ ხსნიან ხსენებულ მოვლენას „მათუსადა“ და ბ. სტ. შავდია.



მოგვიტოვებს რა „მათუსლა“, თუ როგორ აღვინათ
 ჩვენში სამკითხველად და როგორ სოკოსავით გამრავლდა (!)
 იმათი რიცხვი საქართველოში, დასძენს: „ერთობ სწრაფად გა-
 ვრცელდა ჩვენში კითხვის სურვილი და, რომ უფრო სარგებლობა
 მოიტანოს სამკითხველთა, საჭიროა უკუას ჰყავდეს თითო
 სულის ჩამდგმელი მაინც... მაგრამ ამ ბოლო დროს „გვესმის,
 მეტადრე თფიფისის იაფ-ფასის სამკითხველთა, რომ
 მკითხველი ხალხი აღარ დაარება, რადგან წიგნები სულ გადი-
 კითხეს. მეტი ხალი თაობა აღარა გვეყავს? რუსული წიგნებიც
 მიწოდეს, მაგრამ დედა-დედა მკითხველთა რიცხვი მცირდება.
 ვაი თუ ჩვენმა უღარდებობამ და ზარმაცობამ უკან დასხვიანოს
 საქმეს! სწორედ ამ მოსალოდნელის შიშით, როგორც „მათუ-
 სალა“ გვარწმუნებს, „ქალების ზატარა წრეს“ დაუარსებია „მათ-
 რიანი წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“; მცემელების ზრ-
 გრამა და მიმართულებაც გამორკვევია სქებულ „ქალთა წრეს“,
 წიგნების თარგმან-გამომცემსაც შესდგომია, მაგრამ უნდათ ჯადო-
 ქრობის ძალით გამჭრდა მუშაობის ხალხი, განეკუთვლა ცეცხლი
 და... ამით გათავებულა საქმე. „რა იყო ამის მიზეზი?“
 ჰკითხულან „მათუსლა“ და შემდეგ დასძენს: „აღბათ,
 ერთმანეთის გაუტანლობა, ზიარდობა; მობეზრდათ სახალხო
 წიგნების გამომცემი, ხალხი სხვა ხალი საქმე უნდა გამოეკონათ
 უკუა გაიძახდა: „თუ ჩემი არ გავა, თუნდა ქვა-ქვაზედაც სუ
 იქნება“. ასე ბჭობს „მათუსლა“ და ხალხი ვხანათ, რას იფიქრობს
 ბ. სტ. შავდია. ეს ისე ზესიმიტურათ არ უფურებს ჩვენს მწერ-
 ლობს, როგორც სხვები; ზიარქით, იგი ამბობს: „საქმე გაი-
 ხარხარა“; მაგრამ ჩვენს მწერლობას „ერთი სენი სჭირს: ის
 ხალხისთვის სრულიად გაუგებარია; ჩვენში ჯერ თითქმის არც-
 კი დაწვებულა ნამდვილი ზეპუღიარისზაცია“. ამიტომ მოდით,
 ძმებო. „ინტელიგენტებო, სტუდენტებო, მასწავლებლებო, ექი-
 მებო, მღვდლებო და ადვოკატებო—მადლი ჰქვინით, მიწოდეთ
 გონებრივ განვითარებისთვის საჭირო მასალა თვით ხალხს!“
 მიწოდება ჩინებულა, მარა ვუჭვობთ, რომ „მადლი ჰქვინას“
 დასახელებულმა ინტელიგენტებმა!

ამხარათ, ზემოთ გამოთქმულ კითხვას დაიწერა სხვა-და-
 სხვა ზასუხი. ერთი ამბობს (კიტა აბაშიძე): ჩვენი მწერლობის
 სისუსტის და გათანხრობის მიზეზი თვით ჩვენი ინტელიგენტის
 გონებრივ-ზნეობრივი გათანხრობა—ავადმეოფობაა. მეორე
 გაიძახის („მათუსლა“): არა, „ერთმანერთის გაუტანლობა, ზი-
 რადობა, უღარდებობა, ზარმაცობა და სხვა ამითანების მიზეზი
 „ჩვენი საქმეების“ დაღუბნისა“. მესამე-კი (ბ. სტ. შავდია)
 მარტო მწერლობას ეხება და სამართლიანთ შენიშნავს, რომ
 ჩვენი მწერლობის სისუსტის და უნაყოფობის მიზეზი ერთი
 სენია, რომლის მოსზობა-გაქრობა აღადგენს სახალხო მწერლო-
 ბას და გაძლიერებს მთელს ჩვენს ლიტერატურას. ეს სენი
 განლაგეთ ჩვენი მწერლობის „არისტოკრატიზმი“ და ბურჟუაზი,
 თუ შეიძლება ასე ითქვას. ის მწერლები და თხზულებები,
 რომლებსაც „დემოკრატიზმი“ ეტყობათ, კიდევ არიან ხალხში
 ცნობილი და გავრცელებულნი. მაგალითად, მწერლები: იოსებ
 დავითაშვილი, ანტონ ფურცელაძე და ეგნატე ნინოშვილი,
 წიგნები: „სუკეთის ცოდნა“, „ბუნების მოკლეები“, „მრამა
 და კაბიტალი“ და კიდევ რამდენიმე სხვა „უკუას ენაზე აკერია“.
 რას გვიმტკიცებს ეს? სხანამ ამის ზასუხს ვიტყვადეთ, საჭიროა
 გაგინსენთ ერთი მეტათ საურადლებო წერილი, დასტამული
 „კვალის“ მე 13 №-ში 1898 წელს, ბ. ვალენტინისა „საზოგადო
 საქმე ჩვენში“.

როგორ სუსტობს ჩვენში უფელგვარი „საზოგადო საქმე“
 რა სისწრაფით ჰქრება მრავალი ზროქტი, აღშოფოთებით კითხვადებში
 „რას ნიშნავს ეს მოკლეება? საიდან წარმოდება იგი? რათ დაიწერა
 „ხალი მკითხველის“ საქმე? რათ დაეცა „შუამავალი“? რათ
 გათანხროდა „ქართულთა გამომცემელი ამხანაგობა“ და სხვა
 მრავალი მისთანები? იძლევა ასეთ კითხვებს ბ. ვალენტინი და
 ცდილობს მოგვეცეს საფუძვლიანი ზასუხი. იგი ამბობს:
 „მის შემდეგ, რაც ჩვენში ბატონ-უმობა გადავარდა და ძვე-
 ლი ბატონის ნაცვლათ, ხალხმა ბატონმა—კაბიტალი—შემოდგა
 ფები, აირია მხანსტერი... გამოიჩინა ხალხ-ახალი კლასები, წა-
 მოხუცა თავი ბურჟუაზი, განხდა ზროლეტარი; ძველ კლასებსაც
 ერთბაშთ როდი მოდებიათ ბოლო და ბურჟუა-ზროლეტარის
 გვერდით ჩვენ ვხვდვით ფეოდალს, წვრილ სელოსს, წვრილ
 მესკუთრე გლეხს და სხვა. ამისთანავე ამ კლასების საერთოერთო
 დამოკიდებულება ერთბაშთ როდი გამორკვეულა; მათი ინტერე-
 სები ერთბაშთ როდი ჩამოყალიბებულან და თავისთვის გან-
 კერძობებულან: ბრძოლა ამათ შორის ერთბაშთ როდი დაიწვევა
 ბუღა, და აი უფელივე ამის გამო ჩვენი საზოგადოებრივი
 ცხოვრება ზემო-აწერილ ხალხში ეხვევა: ვერც ერთ ჯგუფს ჯერ
 სერიანათ ვერ უცვნიან თავისი თავი და თავისი მტერ-მოყვარე,
 ვერ შეუგნია თავისი საკუთარი ინტერესები და ერთი-მეორის
 მოწინააღმდეგე კლასები სშირათ თათქა მეკობრულათ უტქერენ
 და თათქა ძლიან თანაუგძობებენ ერთმანეთს, თუ საქმით—ჯერ
 რასაკვირველია, შეუგნებლათ—ძირს უთხრიან ერთი-მეორეს.
 ხალხი თუ გაგინსენებთ, რომ არე-დარევა ცხოვრებაში იწვევს
 არე-დარევის აზროვნებაში, შეგვიგნებთ ჩვენი საზოგადოებრივი
 აზრის გაურკვეველობის მიზეზს. ბურჟუაზი მცდელი ცხოვრება
 ბუღა უფელგვარ უტბინის“...

„აი ეს არის უმთავრესი სათავაქართვლების დღევანდელი
 „სიზარმაცისა“, „დაუდევრობისა“, „უენერგიობისა“ და „გულ-
 ციგობისა“ საზოგადო საქმის შესახებ. მტკიცე რწმენის
 უქონლობა იმის შესახებ, რომ ვემსახურებით საზოგა-
 დობრივ ინტერესებს, ე. ი. სრული უბრინციობა, აძლი-
 ერებს ჩვენში ზემო ჩამოთვლილ თვისებას და ჰბადავს სა-
 ზოგადო უთაურობას“...

აი, ასეთი ახსნა საქმის ნამდვილი ახსნაა. მაშ კხლა ერთი
 მხრით უნდა ვკითხოთ: „სახალხო საქმეები“ საზოგადოების
 რომელ წრეს ემსახურებია, ე. ი. კერულ წოდებული „ხალხი“
 საზოგადოების რომელ კლასს წარმოადგენს!? მეორე მხრით-კი
 ხსენებულ წერილის დასტამების შემდეგ აკერ თითქმის სამა-
 წელმა გაიარა და სუ თუ ჩვენში უფელივე ერთ წერტილზეა
 შეჩერებული, სუ თუ საზოგადოების ნაწილთა განწობილება უფრო
 ვერ გამოიჩინა, ვერ ჩამოყალიბდა? და თუ გამოიჩინა, მაშ რითი
 ახსნება, რომ დღესაც იგივე შეხედულება აქვთ ვითომდა-მო-
 დავწე ინტელიგენტებს „სახალხო საქმეებს“ და თვით ხალხზე,
 როგორც „მის ფამს შინა“ ჰქვინდათ? ჩვენ არა გვჭერა ჯერ ის,
 რომ ჩვენი ცხოვრება ამ სამ წელიწადში წინ არ წასულიყოს
 და მეტი არა გვწამს, რომ სხვა მოღვაწეები უფრო ჰქმნობენ
 შეხედულებების და ზრინცაბებით არ გამოსულიყვნენ ახარეზზე
 და არ მოქმედებდნენ! აქედან უნდა ვიკუთვალსმით, რომ „ხალხი“,
 ეს „ახსნელი სფინქსი“, ზოგიერთთათვის წარმოადგენს საზო-
 გადოების ერთ განსაზღვრულ ნაწილს და კარგათ იცნობს მას
 ჰქმნობენ მოღვაწე. მაგრამ მიუხედავათ ამისა დღეს ჩვენში
 „სახალხო საქმეები“ მისუსტებულია და უზატრინათ დაჩნებლი.
 ერთხელაც ვთქვი და კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენი მწერლობა ისე,
 როგორც საზოგადოთ ცხოვრება,—ძლიან ჩამოჩნებლია რუსე-
 თის მწერლობაზე და გასაკვირველიც არ არის: სად ჩვენ, ზაწია

აკვირებს რა მოკლეთ ავტორი ხსენებულ წერილში, თუ



ერი და სად ვეებერთელა რუსეთი! იქ, რუსეთში აღორძინდა და განვითარდა უფლები „სახალხო საქმე“; იქ, როგორც დღეს ჩვენში, „სახალხო საქმეებში“ იბრძოდა და იბრძვის ორგანიზაციები, ორგანიზაციები მძლავრად: ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი, ქველმოქმედება და თვით-მოქმედება. დღეს იქ „სახალხო საქმეთა“ სფეროში უკვე გამოჩნდებოდა დემოკრატიზმი, თვით-მოქმედება და დემოკრატიზმი. აი ამას მთავრად ჩვენს სახალხო საქმეების მეთაურებისათვის! ჩვენ არ უარ-ვეფოთ იმით „ინტელიგენტობას“, იმით „დიპლომატიას“, როგორც იმით ჭკნობა; ჩვენ გვინდა განადგურება იმით ლიბერალიზმი, ქველ-მოქმედებითი ბრძოლი, მოწყობითი მოხერხება. თვით „ხალხი“ მოითხოვს მათ განდევნას სამოღვაწეო ასპარეზიდან, ვინაიდან იმითი შეხედულება, სახელმძღვანელო ბრძოლი არ ეთანხმება როგორც ხალხის ინტერესებს, ისე თანამედროვე იდეას.

ვიცით, ამ სიტუაციის გაგებასზე შუბლს შეივსებენ და მრისხანეთ შემოგვიტყვენ ჩვენი მოღვაწე ინტელიგენტები: — ხომ დაინახეთ ჩვენ ვინ ვფოთილვართ, რამდენ „სახალხო საქმეს“ „სული ჩაუვდგით“ და დღესაც მრავალს ვუდგევართ სათავეში, — ჩვენს ვართ, რაც ვართ, თორემ „ხალხი“ რას მიქვანს! ოჲ, უკაცრავათ, (აქ სიტუაციას ისწორებენ ვითომდა-მოღვაწეები) „ხალხი“ ჩვენ ძალიან გვიყვარს და კიდევ გვსურს მისი ჩვენთან „სამტკობილობით“ (ილია ზურაბიშვილის სიტყვას) მოთავსება, მაგრამ არსადა სხანს იგიო!

— ვიცით, ბატონო ჩვენს, თქვენ ვინცა ბრძანდებით, კარგათ გიცნობთ თქვენზე მოძმის, კიტა აბა იძის მახვილი კაღმის წყალობით. თქვენს ხართ, იმისი სიტუაციით, ისეთი „კუჭი, რომელიც სკმელს ღებულბს და ვერ ანაწილებს, ითვასებს და ვერ ახერხებს მის რეკიანთ მხანმარებას“. თქვენს ხართ, იმავე ავტორის აზრით, „უხერხე გონებით აღჭურვილი, დღევანდელი ჩვენი დაავადებული, გადავარებული განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, ანუ ინტელიგენცია“. კმარა! კმარა, ამდენი თქვენი შკობა და ქება-დიდება! უფრო საუურადღებო თქვენს სიტუაციებში ის არის, რომ „ხალხსაც“ არ ივითვებთ და მძალდ ფარდებიდან წამოუყვებლებული განცვიფრებით ჭკითხულობთ: — სად არის „ხალხი“! ვუძახით, სავიარსა ვცემთ, მაგრამ არსადა სხანს, ადბათ არ შეუძლია „თავისი საქმის გაძღვლა“, ზატონობა!

ამაზე მოგახსენებთ, რომ „ხალხს“, როგორც სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფს, აქტიურათ და ბრძანბირ არსადღეს არ შეუძლება მეთაურობა და ზატონობა თავის საქმისა. იგი განაგებს და მეთაურობს უფელ თავის საქმეს თავისი წარმომადგენლების საშუალებით: ხალხის საქმეს განაგებენ და მეთაურობენ „ხალხის შვილი“! მან ჩვენში ეს არ არის! ჩვენი „ხალხი“ მხოლოდ ახლა იღვიძებს თავისი საუკეთესო შვილების შეხებით და იგნებს თავისუფლებას! იგნებს იმასაც, რომ „სახალხო საქმეებში“ ვითომდა-მოღვაწე ინტელიგენტები კი არ უნდა მეთაურბდნენ და განაგებდნენ, არამედ მისივე „შვილები“, მისი დამცველ-მომხრები, ქვემარტი მოღვაწეები!

